წლიწადი მერვე

საქართველო უწინარეს ყოვლისა

თეთრი გიორგი

პარიზი
თებერვალი 1933 წელი
№ 61

ქართველ პატრიოტთა ორგანო
Journal de l'Organisation des Patriotes Géorgiens «THETHRI GUIORGUI»
Rédaction: THETHRI GUIORGUI, 63 bis, Rue de Billancourt, BOULOGNE - Seine
რედაქტორი მ. წერეთელი. Le Directeur : M TSERETHELI

Paris
Février 1933
№ 61

ინტეგრალური ნაციონალიზმის მთავარ დებულებათა

სქემატიური გადმოცემა

1.—კაცობრიობა, ერი, ინდივიდი.

კაცობრიობა განყენებული შემეცნებაა. როგორც დიდი ფილოსოფოსი ბეოგსონი ამტკიცებს, იგი, ადამიანის, მხოლოდ წარმოდგენაში არსებობს. შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ ინდივიდი, ერი, კაცობრიობა ერთი მეორის გაგრძელება, შევსება და გაფართოება იყვენ. ერისა და კაცობრიობის შორის გრადაციული განსხვავება კი არაა, არამედ განსხვავება მათ ბუნებათა შორის არსებობს.

ერი სავსებით კონკრეტიული და ცოცხალი სოციალური სხეულია, გაპიროვნებული ორგანიზმი, ე. ი. სოციალური ინტეგრაცია და როგორც ასეთი სოციალურ კანონებს ექვემდებარება. კაცობრიობა კი აბსტრაქციაა, ნაყოფი გონებრივი სპეკულაციისა და იგი ერის გაფართოვება კი არაა, არამედ მხოლოდ ჩვენი გრძნობისა. კაცობრიობის მიწდომა მხოლოდ გრძნობითაა შესაძლებელი. ამიტომაც კაცობრიობა მუდამ იყო და დარჩება სარწმუნოების საგნად. კაცობრიობის გამოტანა სოციალურ და პოლიტიკურ ასპარეზზედ მხოლოდ მავნე უტოპიაა.

რაც შეეხება ინდივიდს, იგი ეროვნული სხეულის ორგანიული ნაწილია. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ადამიანი, რომელიც ეთნიურად და ფსიქოლოგიურად არც ერთ ერს არ ეკუთვნოდეს და წარმოადგენდეს რაღაც საკაცობრიო საერთო ტიპსა. იმიტომ რომ კაცობრიობა, როგორც სოციალური სხეული, არ არსებობს, არც როგორც სხვა რაიმე სახის რეალობა. მაშასადამე არც შეიძლება არსებობდეს რაიმე განსაკუთრებული ტიპი კაცობრიობისა.

ამიტომაც, ცხოვრების გაუმჯობესების ძებნა, „საკაცობრიო“ თეორიებით და პოლიტიკით, როგორც ამას მარქსისტები სჩადიან, დიდი შეცდომაა, რომელიც ყოველთვის საწინააღმდეგო შედეგებს აღწევს ხოლმე. შეუძლებელია კაცობრიობაზედ დამყარებულმა პოლიტიკამ მავნე ნაყოფი არ გამოიღოს. ერთად ერთ მკვიდრ დასაყრდნობ ფუძეს ყოველი ცივილიზაციისა, პოლიტიკური და სოციალური მოძრაობისა, წარმოადგენს ერი—რეალური სოციალური ორგანიზმი.

ამიტომაც ინტეგრალური ნაციონალიზმი მხოლოდ ერს ემყარება და იდეალს მისი მისწრაფებისა, ერის წარმატება შეადგენს.

2.—საზოგადოება.

სიტყვა საზოგადოება განყენებული შემეცნებაა, თავის თავად, და არავითარ სინამდვილეს არ უდრის. საზოგადოება, როგორც განსაკუთრებული სხეული არ არსებობს. არსებობენ ეთნიური საზოგადოებები, ე. ი. საზოგადოება ერის სინონიმია. სიტყვა „საზოგადოება“-ში კონკრეტიული შინაარსი მხოლოდ იმ შემთხვევაში იდება, როდესაც ამ სიტყვით ვგულისხმობთ ერს. ინტეგრალური ნაციონალიზმი სიტყვა «საზოგადოებას» მხოლოდ ამ შინაარსითა ხმარობს. ხოლო როდესაც ჩვენ ვამბობთ: საზოგადოებრივი კანონი (ანუ სოციალური კანონი), ჩვენ ვგულისხმობთ იმ კანონებს, რომელიც ყოველი ადამიანისათვის და ყოველი ერისათვის საერთოა. მაგალითად: ადამიანი საზოგადოებრივი ცხოველია; ყოველი ერი განიცდის ევოლუციის კანონებს და სხვა.

3.—კლასები.

ინტეგრალური ნაციონალიზმი უარს არა ჰყოფს კლასთა არსებობას. პირიქით, იგი კლასობრივ გადარჩევას აღიარებს, როგორც ეროვნული დიფერენციაციის ერთ სახეთაგანს. სოციალური ევოლუციის კანონი შემდეგია: ჯერ ხდება ეროვნული ინტეგრაცია და შემდეგ ეროვნული სხეულის დიფერენციაცია. ერის ასეთი შინაგანი გადარჩევა მისი ევოლუციის აუცილებელი პირობაა. ისე, როგორც ინტეგრაციის და დიფერენციაციის გარეშე ბიოლოგიური ევოლუცია წარმოუდგენელია.

არსებობენ აგრეთვე კლასობრივ ინტერესების სხვადასხვაობა. ესეც ნორმალური მოვლენაა. ყოველ ინდივიდს, აგრეთვე ყოველ სოციალურ კლასს საკუთარი ინტერესები გააჩნია, მიხედვით მათი მდგომარეობის განსაკუთრებული პირობებისა.

მაგრამ ინტერესებზედ ასეთი გადარჩევა სრულიადაც არა ნიშნავს ეროვნულ საერთო ინტერესების არ არსებობას. პირიქით: ყოველი ინდივიდის და აგრეთვე ყოველი კლასის ინტერესი ერის საერთო წარმატებას თხოულობს. წარმატებაში მყოფი ერის შემადგენელი კლასებიც წარმატებას განიცდიან. საქართველოს დამოუკიდებლობაში ხომ ყოველი კლასია დაინტერესებული? საქართველოს ნივთიერი წარმატება და პოლიტიკური ძლიერება ხომ ყოველ კლასს სარგებლობას მოუტანს? აი რას ეწოდება ერის საერთო ინტერესები.

4.—კლასთა ბრძოლა თუ სოლიდარობა?

ყოველი კლასი ატარებს განსაზღვრული კულტურულ თვისებებს. მას ეს თვისებები საუკუნეთა განმავლობაში შეუძენია. როდესაც ერთი კლასი თანდათანობით და ბუნებრივად გადის ცხოვრების წიაღითგან, მეორე კლასი, რომელმაც იგი უნდა შესცვალოს თანდათანობითვე აღწევს კულტურულ სიმაღლეს და საჭირო დროს მზათაა მისი კულტურული მემკვიდრეობა ჩაიბაროს და გაუძღვეს მასა. ერთი კლასის მიერ მეორეს შეცვლა, ამგვარი ევოლუციონური პროცესით, ერისათვის უმტკივნეულად ჩაივლის ხოლმე. ხშირად ერს ახალს და ძლიერ სულსაც შთაბერავს ხოლმე. ისტორიაში ამისი მაგალითები მრავალია. ხოლო ხელოვნურად და ძალით მოსპობა ერთი კლასისა მეორის მიერ ანადგურებს აგრეთვე მის კულტურულ შენაძენს, რითაც დიდად აზიანებს ეროვნულ სხეულს. ამასთან ზარალდება, თვით გამარჯვებული კლასიც, ნივთიერადაც და სულიერადაც და საბოლოოდ დამარცხებული კლასი, თუ კი მას ჯერ დრო არ მოუჭამია, ისეთვე ჩაისახება და განვითარდება ხოლმე.

ინტეგრალური ნაციონალიზმი უარსა ჰყოფს კლასთა ბრძოლის ისტორიულ აუცილებლობას. კლასთა ბრძოლა განსაზღვრულ ეპოქის დაცემას დამახასიათებელია. იგი მხოლოდ და მხოლოდ იმ ერის წიაღში იჩენს ხოლმე თავს, რომელიც დეგრადაციას განიცდის. კლასთა ბრძოლას არა ერთი ცივილიზაცია და ერი უმსხვერპლია.

ეროვნული ცხოვრების ნორმალური მსვლელობა და ცივილიზაციის განვითარება საჭიროებს კლასთა სოლიდარულ თანამშრომლობას. ამიტომაც ინტეგრალურმა ნაციონალიზმმა შექმნა სოციალურ-პოლიტიკურ-ეკონომიური ფორმები და დაწესებულებანი, რომელნიც შესაძლებელ ჰყოფენ კლასთა თანამშრომლობას სამართლიანობის ნიადაგზედ. ეს დაწესებულებანი შემდეგია: კორპორაცია, საკორპორაციო სასამართლო და კორპორაციათა სამინისტრო.

5.—თანასწორობა.

ინტეგრალური ნაციონალიზმი აღიარებს ყველა მოქალაქეთა და ყველა კლასთა თანასწორობას კანონთა და სახელმწიფოს წინაშე. ის ამ თანასწორობას კორპორაციებისა და რეალური წარმომადგენლობის საშუალებით ახორციელებს.

6.—პარლამენტი.

ინტეგრალური ნაციონალიზმის თეორიით სახელმწიფო დამყარებული უნდა იყოს პარლამენტზედ, წარმომადგენლობითი სისტემაზედ. ხოლო წარმომადგენლობა უნდა იყოს ეროვნული და არა პარტიული, როგორც ამას ალაგი აქვს დემოკრატიულ სახელმწიფოში. თვით ხალხი უნდა იყოს გამგე თავის ბედისა და არა პარტიული კომიტეტები. პარლამენტში უნდა ხდებოდეს ერის ყველა ინტერესთა გამომჟღავნება და შესწავლა. კანონმდებლობა უნდა გამომდინარეობდეს ინტერესთა ამ შესწავლითგან. ხოლო ამ მიზნის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ რეალური წარმომადგენლობის სისტემით.

7.—კორპორაცია.

კორპორაცია წარმოადგენს მუშათა და პატრონთა სინდიკატების შეერთებულ ორგანიზმს. მრეწველობის ყოველ დარგს საკუთარი კორპორაცია აქვს. კორპორაციის სახე შემდეგნაირია:) მასში შედიან მუშათა და პატრონთა სინდიკატების თანასწორი რიცხვი; ბ) კორპორაცია საზღვრავს ხელფასის რაოდენობას; გ) ცდილობს წარმოების გაუმჯობესებას და ეძებს ბაზარს; დ) ზრუნავს მუშათა ზნეობრივ და ფიზიკურ ვითარებაზედ; ე) კორპორაცია აწესრიგებს მუშათა და პატრონთა შორის აღძრულ უთანხმოებებს.

8.—ინტეგრალური ნაციონალიზმის მთავარი ხაზი ეროვნული მთლიანობაა. ეს უკანასკნელი აუცილებელი პირობაა ერის ნორმალური ცხოვრებისა და წარმატებისა. ხოლო, იქ სადაც ეროვნული მთლიანობა დარღვეულია, ე. ი. პროვინცია პროვინციის წინააღმდეგ ამხედრებულა, ერთი კლასი ებრძვის მეორეს და ეროვნული სხეული გამხდარა პარტიების საძიძგნ საგნად, ერი უსათუოდ დეგრადაციას განიცდის. ამიტომ ინტეგრალური ნაციონალიზმის მთელი ძალა და შემოქმედება მიმართულია ეროვნული მთლიანობის განმტკიცებისადმი.

საქართველოში ეროვნული მთლიანობის განმტკიცება შესაძლებელია მხოლოდ დეცენტრალისტური სისტემის და კლასთა სოლიდარული თანამშრომლობის წყალობით. დეცენტრალისტურ სისტემაში საქართველოს ეთნიური სხვადასხვაობა შეთანხმებით მოთავსდება და თემური გენია და ინდივიდუალიზმი მოიპოვებს მოქმედების ფართო გასაქანს და შესაძლებლობას.

9.—ინტეგრალურ ნაციონალიმს ყოველი ცივილიზაციის და ერის არსებობის გარდუვალ და აუცილებელ ბაზად მიაჩნია სარწმუნოება, ოჯახი და ეროვნული ზნეობა. არც ერთი ცივილიზაცია ამ ფაქტორთა გარეშე არ არსებულა. ამიტომ ინტეგრალური ნაციონალიზმი ყოველნაირად უწყობს ხელს ერის და მისი ცივილიზაციის ამ სამ დასაყრდნობ ფუძეთა განვითარებას და განმტკიცებას.

10.—ეროვნული სახელმწიფო.

ინტეგრალური ნაციონალიზმის მიზანია ეროვნული სახელმწიფოს დამკვიდრება. 1) სახელმწიფო, რომლის სოციალურ-ზნეობრივ ფუძეებს შეადგენენ ოჯახი, სარწმუნოება და ეროვნული ზნეობა. პოლიტიკურ-ეკონომიურ ფუძეებს შეადგენენ: რეალური წარმომადგენლობა ეროვნულ ინტერესთა პარლამენტით და კორპორატიული სისტემა, რომლის მთავარ მიზანს შეადგენს ეროვნული მთლიანობა, ერის წარმატება და სიდიადე, ერის მშვიდობიანი ევოლუცია.— დიახ, ასეთი სახელმწიფო თვით ერის განსახიერება და სინონიმია და ამიტომაც ეწოდება: **ეროვნული სახელმწიფო.**

ეროვნული სახელმწიფო დამყარებულია ცხოვრების უდიდეს სინამდვილეზედ, ერზედ. მას ფესვები აქვს გადგმული ერის ინტერესების ყოველ დარგში, ეროვნული ვითარების ყოველ გამომჟღავნებაში და ემსახურება მათ. ამიტომ ეროვნული სახელმწიფო მომწყვდეული არაა ყალბ პრინციპების სამყაროში, როგორც დემოკრატიული სახელმწიფო; არც სნეულ ფანტაზიების და მავნე უტოპიების სივრცეში, მარქსიზმისამებრ,— არამედ იგი დამყარებულია ცხოვრების სინამდვილეებზედ და საგანსაც, მისი იდეალისა და შემოქმედებისა, შეადგენს მთლიანი ცხოვრების მთავარი მამოძრავებელი ძალა და უდიდესი რეალური ფაქტორი,—ერი.

ლეო კერესელიძე.

მოსაზრება საერთო ფრონტის შესახებ

გაზ. «დამოუკიდებელი საქართველო»-ში (N 84, გვ. 5), მოთავსებულია წერილი, რომლიც ორიოდე სიტყვით გვინდა გავკენწლოთ. წერილი ზელ-მოუწერელია. მაგრამ, «მაზათი ტომარაში ვერ დაიმალება»-ო, ნათქვამია. წერილის დამწერს მთავრობისადმი (იგივე მენშევიკური კომიტეტი) მლიქვნელ და პირმოთნე კილოზედ აშკარად ეტყობა, რომ იგი ბ-ნი ასათიანის ჯურის ეროვნულ - დემოკრატი უნდა იყოს. წერილის დამწერი სრულიადაც არა ფიქრობს მას რასაცა სწერს. ამის მიხვედრას დიდი გულთმისნება არ სჭირია. როდესაც «ჩინოვნიკი» მრისხანე უფროსის წინაშე წელში სამად იხრება, განა გულშიც მორჩილების გრძნობა უმღერის? არა, პირი უცინის, თორემ გული ალმაცერად იყურება.

---

1) ამ საკითხის შესახებ იხ. ჟურნალი Universalita Romana-ში № 1 ლეო კარესელიძის წერილი.

წერილის დამწერი მთავრობის გამართლებას ცდილობს. «რა დააშავა მთავრობამაო», კითხულობს იგი. თქვენ ეხა ბრძანეთ, მთავრობის უსახელო ვექილო, რა გააკეთა; თორემ რაც დაუშავებია ამას კი, იცოცხლეთ, კაკალ-კაკალ ჩამოვითვლით.

არა, როგორ მოგწონთ, ბატონებო, მთავრობა, რომელიც იმას კი ვერ აღნუსხავს თუ რა გაუკეთებია და ქვეყნისათვის რა შეუმატნია, არამედ შემოგვწრიპინებთ: «რა დავაშავე»-ო! ერთი ეს მიბრძანეთ, მენშევიკებს რაღა დარჩათ დასაშავებელი და წასახდენი მის შემდეგ, რაც მთელი საქართველო თავს შემოივლეს და დალუპეს? ახლა ჩვენი ქვეყნის დაქცევას ისინი უშედეგო შემთხვევას აბრალებენ. «საქმეს წაახდენს რეგვენი ფათერაკს დააბრალებსა»-ო.

მაგრამ წარსულს, დროებით, დავიწყების ხუდარა გადავაფაროთ, თორემ იმის ჩამოსათვლელად თუ მენშევიკურ მთავრობამ რა დააშავა საქართველოში არც ქაღალდი ეყოფა და არც მელანი. მოვიყვანოთ მხოლოდ რამდენიმე ნიმუში იმისა თუ რა დაუშავებია მას და რას აშავებს უცხოეთში. აი ჩვენი ბრალდება:

პირველი. საქართველოს დაცემის შემდეგ, მაინც, მთავრობა ეროვნულ ნიადაგზედ უნდა დამდგარიყო. პარტიულ პოლიტიკაზედ ხელი უნდა აეღო და ეს საქმით დაემტკიცებინა. ეს იყო საჭირო ევროპიელ სახელმწიფოთა წინაშე და მეტადრე ქართველ ძალების შემოსაკრებად, მათი ნდობის მოსაპოვებლად. მხოლოდ ამნაირად იყო შესაძლებელი ნამდვილი და ნაყოფიერ მთლიანი ფრონტის შექმნა. ამგვარი დარაზმულობის დედა-ბოძად ბ-ნი ჟორდანია გახლდათ და მთავრობა მართლაც რომ ეროვნულ საქმეს გააკეთებდა. ამნაირი საქციელით ბ-ნი ჟორდანია და მისი ნაზირ-ვეზირები საქართველოში ჩადენილ ცოდვებს, ნაწილობრივ მაინც, გამოისყიდიდნენ. მაგრამ მთავრობა ამ სიმაღლეზედ ვერ დადგა. პარტიულ ჯურღმულებში აღზრდილი მოქადაგენი ეროვნული საკითხის სიდიადეს ვერ შესწვდნენ. «ღმერთს რომ კაცი არ უქნია, არ უქნია» ო, ნათქვამია. ეს ხალხი, მართლაც, რაღაც ბნელ ვარსკვლავზედაა დაბადებული!

ბ-ნმა ჟორდანიამ, ევროპაშიც, მენშევიკური კომიტეტის თავმჯდომარეობა ირჩია იმ მაღალ დანიშნულებას, რომელზედაც იგი ისტორიულმა ბრმა პირობებმა, სავსებით დაუმსახურებლად, მოუწოდეს. «არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი»-ო. მართლაც და როგორ შესძლებდა მარქსის ქადაგი, პლეხანოვის პატარა ნოქარი, ბრწყინვალე და დიდებულ ბაგრატოვანთა ეროვნულ მემკვიდრეობას: ქართვლის ბედის მიღებას და მის ღირსეულად გაძღოლასა!?

ბ-ნმა ჟორდანიამ, ევროპაშიც, საქართველოს ბედის გამგებლობა პარტიული სულისკვეთების ქვა-კუთხედით განიმრახა. ეს არც დაუმალია უცნაური მთავრობის ამ უცნაურ თავმჯდომარეს. 1924 თუ (25)-ში ბ-ნი ჟორდანია, ერთ თავის წიგნაკში, ბრძანებს: მომავალ საქართველოში უპირატესობა ისევ მენშევიკებმა უნდა მოიხვეჭონო. 1) ამნაირად მთავრობის თავმჯდომარე, პირველ რიგში საქართველოს დამოუკიდებლობას კი არ აყენებს, არამედ პარტიული ბატონობის საკითხსა. მას საქართველოს დამოუკიდებლობა იმდენადა სურს, რამდენადაც ხელახლად შესაძლებელი გახდება მენშევიკების კომიტეტის გაბატონება. თუ ასეთი ბატონობა რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში უფრო ადვილად განხორციელდა, მაშინ იგი კეხს ისევ მოსკოვისაკენ მიიბრუნებს. მე თქვენ მოგახსენოთ ნახტომები არა სჩვევია თუ? პარიზში, ქართველთა ახალშენის კრებაზედ, მენშევიკების დიდმა დიპლომატმა, ჭკუის ბედელმა, ბ-ნმა ურატაძემ, განაცხადა: «თეთრ-გიორგულ საქართველოს რუსული საქართველო მირჩევნია»-ო, და ამ მზაკვრულ სიტყვებს მენშევიკები მხურვალე ტაშით შეხვდნენ. დიახ, მათ მენშევიკური საქართველო სურთ, თუ არა, სულ არ უნდათ მისი დამოუკიდებელი არსებობა.

ბ-ნმა ჟორდანიამ თავისი პარტიული პოლიტიკა საბოლოოდ ბ-ნ ასმეტელთან ურთიერთობით დაამტკიცა, რომელიც სამსახურიდგან მხოლოდ იმ მიზეზით გადააყენა, რომ მას ელჩის დანიშნულება პარტიულ წარმომადგენლობად კი არ მიაჩნდა, არამედ საქართველოსი.

აღსანიშნავია, რომ მთავრობის წევრთა შორის არ გამოჩნდა არც ერთი, რომელიც ჟორდანიას პარტიულ პოლიტიკას წინაღუდგომოდა. ვერც ერთი მათგანი მენშევიზმის საწნისით ერთხელ გავლებული კვალიდგან ვერ ამოვიდა. ასე ღრმად წაუშლია მათში პიროვნული სახე პარტიულ მანქანასა და მათი სული რაღაც საერთო ზომის ყალიბზედ ჩამოუყალიბებია; ერთი ყაიდის არსებად გაუშალამინებია და უცხო ძალისათვის დაუმორჩილებია, როგორც დამცირებული მონა, როგორც უსიტყვო საგანი. მართალია ორიოდე მათგანს კიდევ შერჩენია მკრთალი კვალი საკუთარი პიროვნებისა, თავისუფალი აზროვნებისა და პარტიას სავსებით ვერ გამოუთაყვან გაუ[illegible]. ამ უკანასკნელთ თავითგანვე დაინახეს მთავრობის დანაშაული. მაგრამ გამბედაობა ვერ შესწევთ, სამშობლოს სახელით, პარტიას ახდილი წინააღმდეგობა გაუწიონ. «შიში შეიქმს სიყვარულსა»-ო და ყოველი მენშევიკი არტახებითგანვე დაშინებული მარქსის ბანჯგვლიანი პირისახითა, როგორც გადიები გვაშინებდენ ხოლმე: «დაჩუმდი, ხმა ჩაიკმინდე თორემ ბუა მოვა»-ო, მხოლოდ ახლა გამოჩნდა ბ-ნი ასმეტელი, რომელმაც მთავრობას გაუბედა სიტყვა სწორი და მართალი, რაზედაც ყოველი ქართველის მიერ გარაქალა ეთქმის.

აღმოჩნდა, რომ ქართული ანდაზა: «ურემი რომ გადაბრუნდება გზა მაშინ გამოჩნდება»-ო, მენშევიკური მთავრობისათვის არ არსებულა. მათ სწორე გზა ვერც საქართველოს დაღუპვის შემდეგ დაინახეს. ვინ იცის, იქნებ იმიტომ, რომ ურემი თვითონვე გადააბრუნეს და ძველებური ქართული თქმულება: «ადამიანს საკუთარი დანაშაული აბრმავებს»-ო სწორედ ჟორდანიას მთავრობაზედ ახდა?!

კიდევ ერთხელ ქართული ანდაზა სწორე გამოდგა: «რაკი და ერთხელ კაცი მრუდე გზას აირჩევს, სამარემდე უკუღმართად ივლის»-ო. დიახ, ბ-ნმა ჟორდანიამ მოსკოველი მარქსისტების შემოსევის შემდეგაც, არ მიატოვა პარტიული პოლიტიკა და მეორე ინტერნაციონალთან განაგრძო თავისი მორჩილი თანამშრომლობა. ხოლო მთავრობის მონაწილეობა მეორე ინტერნაციონალში, საქართველოს პოლიტიკის ამ დაწესებულებისადმი დამორჩილებას ნიშნავს. ეს იმიტომ, რომ მეორე ინტერნაციონალის წევრები ვალდებულნი არიან მის დადგენილებას დაემორჩილონ. ხოლო დიდი ჭკუის კოლოფი არ უნდა იყოს ადამიანი, რათა მიხვდეს, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის მეორე ინტერნაციონალი ყოველთვის პირველს ირჩევს, რადგან სოციალიზმის განსახორციელებლად დიდი რუსეთი უფრო მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენს ვიდრე პატარა საქართველო. ეს რომ ასეა თვით მეორე ინტერნაციონალის ყველა დადგენილებანი ერთხმად მოწმობენ: ყოველი მისი დადგენილება საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგია. ამ დადგენილებათა შესახებ გაზ. «თეთრი გიორგი»-ს ხშირად დაუწერია და განმეორება აღარა ღირს.

მოვახსენებთ მხოლოდ ორ საკითხს:

ა) მეორე ინტერნაციონალი სასტიკი წინააღმდეგია რუსეთის შინაგან საქმეში რომელიმე სახელმწიფო ჩაერიოს და იარაღს მიმართოს. ამ შემთხვევაშიც საქართველოს და მეორე ინტერნაციონალის გზები გაყრილია. ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა სწორედ ამ გვარ გარევას თხოულობს, რადგან რუსეთის ომში გახვევას საქართველოს დამოუკიდებლობა მოჰყვება. მიუხედავად ამისა მენშევიკური მთავრობა მეორე ინტერნაციონალთან ერთად, გარევის აზრსაც კი ებრძვის, რაც ეროვნული საქმის ღალატია. ამნაირად ის პირნიც და პარტიებიც, რომელნიც ამგვარ მთავრობასთან თანამშრომლობენ, საქართველოს საქმეს ღალატობენ.

ბ) ამ ბოლო დროს მეორე ინტერნაციონალმა დაადგინა: რომ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთსა და იაპონიის შორის სამხედრო მოქმედება დაიწყო, მეორე ინტერნაციონალის ყოველი წევრი ვალდებულია რუსეთს დაუჭიროს მხარი და მთელი თავისი ძალით და საშუალებით იაპონიას შეებრძოლოს. ამ გადაწყვეტილებაზედ მთავრობამ ხელი მოაწერა და მით საკუთარი თავიც და საქართველოც იაპონიის მტრად გამოაცხადა. მაგრამ ჟორდანიას მთავრობა მომავალი ბრძოლის ლოდინით როდი დაკმაყოფილდა. იგი ეხლავე შეტევაზედ გადავიდა და იაპონიის ბუმბერაზ იმპერიაზედ პირველი იერიში, მენშევიკების მხედარმა, ბ-ნმა ანდრონ ჟორჟოლიანმა მიიტანა. მთავრობის გაზეთ «ბრძოლის ხმა»-ში, ეს უშიშარი რაინდი იმუქრება: «იაპონია ეხლავე უნდა ავლაგმოთ»-ო. დიახ, მენშევიკებსა სძულთ იაპონია იმიტომ, რომ იგი მთლიანი ნაციონალიზმის ქვეყანაა და მისი გამარჯვება არა მხოლოდ ბოლშევიზმის, არამედ საერთოდ მარქსიზმის გასრესას უდრის. ხოლო ოდეს მზე ამობრწყინდება, წყვდიადი განიფანტება. — ინტეგრალური ნაციონალიზმის გამარჯვებასთან მარქსიზმი საბოლოოდ დალევს სულს. ეს მეორე ინტერნაციონალმა და მენშევიკებმა კარგად უწყიან და ამიტომ ურჩევნიათ ისევ რუსეთმა გასრისოს საქართველო, ვიდრე ინტეგრალურმა ნაციონალიზმმა მარქსიზმი.

როგორ მოგწონთ, ბატონებო, მთავრობა, რომელიც საკუთარი ქვეყნის მტერს ესარჩლება?

აი რატომ ვამბობთ, რომ მენშევიკური მთავრობა ეროვნული სრულიადაც არაა: რომ მას საქართველოს ბედი პარტიული მისწრაფებებისადმი დაუქვემდებარებია; რომ საქართველო მეორე ინტერნაციონალს აუყოლა და გადააყოლა. ამისთანა მთავრობას გულწრფელი მამულიშვილი ვერ ენდობა. არცაა სანდო.

რომ მთავრობა ვიწრო პარტიულ პოლიტიკას აწარმოებს და არა ეროვნულსა, ამას ხომ მარტო ჩვენ არ ვამბობთ. ბ-ნი ასმეტელი, რომელიც მენშევიკების მთავარ ლიდერთაგანია და ჟორდანიას დიდი ხნის მეგობარი, საჯაროდ ამხელს და ჰკიცხავს მთავრობის ამგვარ, ეროვნულად მავნე, პოლიტიკასა.

მეორე. მთავრობა თავის წარმომადგენლებად, სხვა და სხვა ქვეყნებში, მხოლოდ მენშევიკებსა ნიშნავს. ხშირად უვიცთ და აღუზრდელთ, რომელთა გამოჩენაც კი აღზრდილ და კულტუროსან საზოგადოებაში სამარცხვინოა. ამ წარმომადგენელთა დანიშნულებას ქართველ მოქალაქეთა დევნა, მტრობა და დასმენა შეადგენს. თუ გნებავთ საბუთებს წარმოგიდგენთ.

მესამე.—ბ-ნ ჟორდანიას მთავრობამ ოცდა ოთხი წლის აჯანყებაც ბოროტად ისარგებლა. მას ხელი შეუწყო მიუხედავად იმისა, რომ მას, მეამბოხეთა დასახმარებლად, არც ერთი უხალთუნი, არც ერთი ვაზნა არ მოეპოვებოდა; რომ არც ერთი სახელმწიფოს მიერ არა ჰქონდა აღთქმული არავითარი დახმარება. მენშევიკურმა მთავრობამ ამ შემთხვევაშიც პარტიული მოსაზრებით იხელმძღვანელა და მას შესწირა რამდენიმე ათას ქართველთა სიცოცხლე.

მეოთხე.—ჟორდანიამ და მისმა მთავარმა ვეზირმა, ეროვნულ გმირს, ჩოლოყაშვილს და საუკეთესო მამულიშვილებს დასწამეს უსაშინელესი ცილი და მათ მოსაკვლელად პარტიული მკვლელები წააქეზეს. განა ამის შემდეგ რომელიმე შეგნებულ ქართველს შეუძლია კიდევ ამისთანა მთავრობასთან თანამშრომლობა?

მეხუთე.—საქართველოდგან ჩამოტანილი ექვსი მილიონი ოქროს ფრანკი, ე. ი. 30 მილიონი ფრანგული ფრანკი ორ წელიწადში ისე გააქრეს, რომ ეროვნული საქმე ერთი გოჯითაც კი ვერ წასწიეს წინ. ჩვენ არ ვამბობთ, რომ მათ ეს ფული ჩაექისოთ. მაგრამ ნათქვამია: «ცუდი შემნახავი ქურდზედ უარესია»-ო. საკუთარი შეძლება გინდა სულ ფიწლით გაანიავე, ვის რა ეთქმის? მაგრამ საზოგადო ფულს ხელმოჭერილი და მიზანშეწონილი გაღება უნდა: ერთ უხალთუნს ცხრა მინალთუნის საქმე უნდა გააკეთებინო. საზოგადო ფული ანაბარია და «ანაბარი მგელმაც იცის»-ო, ნათქვამია. ენერგიული ადამიანი, ამ ფულით, კიდევ სხვა ფულს შეიმატებდა: ევროპა-ამერიკაში მრავალ გავლენიან მეგობრებს შემატებდა საქართველოსა. გადახედეთ სხვა ერების განმანთავისუფლებელი ბრძოლის ისტორიასა. მაგრამ მათ, ე. ი. მენშევიკურ მთავრობის წევრებმა, მხოლოდ მეორე ინტერნაციონალის კუდში ირბინეს და დღეს იქაც კი აბუჩადა ჰყავთ აგდებული და ლამის იქითგანაც პანღური ამოჰკრან. «რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო». მაგრამ უბედურება ისაა, რომ თავის თავს საქართველო შესწირეს..

გავიდა თორმეტი წელიწადი. დაიხარჯა მილიონები ხოლო გაკეთდა რაიმე ჩვენი ქვეყნისათვის? არაფერი. პირიქით ბევრი წახდა. ის ოდნავი საზე[illegible] მელიც გადმოხვეწილ ქართველთა შორის არსებობდა, მთავრობის პოლიტიკამ აღმოფხვრა [illegible] ობლობა დასთესა. ხოლო «რასაცა დასთეს მასვე მოიმკი»-ო და ეს თქმულება თვით მთავრობის პარტიაზედ აღსრულდა: დაშლა და გა[illegible] თვით მენშევიკურ პარტიის რიგებში შეიჭრა.

მთავრობას შეეძლო შეეკრა ნამდვილი და მნიშვნელოვანი ეროვნული ძალა და მას დაყრდნობოდა. მან კი ირჩია ყველას გათიშვა და დაქსაქსვა რათა მენშევიკურ პარტიას უფრო ადვილად ეფარფაშა. მაგრამ ასეთი პოლიტიკა მეტად მოკლე ფეხებიანია და გრძელ სარბიელზედ მუხლი მოეჭრება. აკი ასეც მოუვიდა.

ბ-ნმა ჟორდანიამ ნამდვილი ეროვნული ფრონტის გამონახვას მოჩვილ «ჩინოვნიკებისაგან» შემდგარი მოსაჩვენებელი დარაზმულობა ირჩია. თითქოს ქვეყნის ბედის გამგებლობა, მძიმე და უზენაესი ეროვნული საქმე კი არ იყოს, არამედ ყეენობის ან ბერიკაობის თამაშობა. რასაკვირველია, ამნაირი საქმიანობა ვერაფერ დადებითს ვერ მიაღწევდა და ასეც მოხდა. დღეს მსოფლიოში საქართველოს საკითხი სავსებით გარიყულია. მეორე ინტერნაციონალის შესახებ არც კი მოგახსენებთ. იქ ჩვენი საკითხის გარიყვა და გაბაიბურება სავსებით ბუნებრივი მოვლენაა. და არც შეიძლება სხვანაირად იყოს. ხოლო ყოველივე ამაში მთავარი დამნაშავე ჟორდანიას მთავრობაა.

«დამოუკიდებელი საქართველო»-ს წერილის დამწერი კითხულობს: «როგორ უნდა იყოს აწყობილი მუშაობა»-ო. ჩვენა გვსურს ამის შესახებ ჩვენი აზრი გამოვსთქვათ. ხოლო არა გაზეთ «დამოუკიდებელი საქართველო»-ს თანამშრომელთა საყურადღებოდ, რადგან «შეაყარეთ კედელს ცერცვი», ან «მგლის თავზედ სახარება წაიკითხეთ», რა გამოვა?.. არამედ ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ.

ქართველთა საერთო მუშაობა, უცხოეთში, დაახლოებით შემდეგ გეგმაზედ უნდა იყოს აწყობილი: 1)

პირველი.—მთავრობამ ხელი უნდა აიღოს პარტიულ პოლიტიკაზედ და სავსებით ეროვნულ ნიადაგზედ უნდა იმუშაოს.

მეორე.—საერთო მუშაობის ნიადაგი და ფუძე უნდა იყოს საქართველოს დამოუკიდებლობა და არა რაიმე პოლიტიკური მრწამსი. იქ უნდა შეეძლოს შესვლა ყოველ ქართველს, რომელიც დამოუკიდებლობას აღიარებს მიუხედავად მისი პოლიტიკური მიმართულებისა.

მესამე.—საერთო ფრონტში უნდა მოწვეულ იყვნენ ყველა პარტიები და პოლიტიკური ორგანიზაციები, რა მიმართულებისაც არ უნდა იყვნენ ისინი. დღეს მენშევიკური და ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიები, შინაგანი განხეთქილების გამო, რამდენიმე ჯგუფებად არიან დაყოფილი. ყოველი მათგანი მოწვეული უნდა იყოს საერთო ფრონტში. მოწვეული უნდა იქმნენ აგრეთვე: შეფიცულთა კავშირი; ოფიცერთა ორგანიზაცია; მთავარ სარდალი ღენ. კვინიტაძე; ყველა ის უპარტიონი, რომელთა გამოცდილება და ცოდნა საერთო საქმისათვის სასარგებლო იქნება.

მეოთხე.—საერთო ფრონტმა უნდა შეადგინოს ორი მომქმედი დაწესებულება:

ა) სათათბირო, რომელიც, შედარებით, მრავალრიცხოვანი იქნება, რათა რაც შეიძლება უფრო ვიწროდ, და პირდაპირ იყოს დაკავშირებული ქართველ საზოგადოებასთან და წარმოადგენდეს მის აზრს. სათათბიროს მიენიჭება რჩევითი უფლება. მას, საერთო ხასიათის და მოქმედების საერთო გეზის საკითხებზედ დაეკითხება მთავარი გამგეობა.

ბ) მთავარი გამგეობა. ამ უკანასკნელის გამგებლობაში გადავა მთავრობის ყველა უფლება და მოქმედების საგანი. მას მიენიჭება გადამწყვეტი უფლებები. გამგეობის წევრებად იქნებიან პარტიების და პოლიტიკურ ორგანიზაციების მიერ წარგზავნილი მანდატურები: ერთი ან ორი პირი. ხოლო რათა უცხოელ სახელმწიფოთა წინაშე მთავრობას მაინც სახე შეუნარჩუნოთ, თავმჯდომარედ გამგეობისა იქნება ბ-ნი ჟორდანია და გარეშე საქმეთა გამგედ ბ-ნი გეგეჭკორი.

ამგვარი ხასიათის თანამშრომლობა გარევს საერთო მუშაობაში ქართველ საზოგადოების ფართო წრეებს და შექმნის ურთ-ერთისადმი ნდობას. ხოლო გარეშე პოლიტიკაში გააუმჯობესებს მოქმედების პირობებს. იმიტომ რომ, უცხოეთი ამნაირად შეერთებულ ძალებს ანგარიშს გაუწევს.

ასეთია ჩვენი აზრი. ჩვენ გულწრფელადა გვსურს ქართველი ძალების შორის შეთანხმებული თანამშრომლობის დამყარება. მაგრამ კარგად ვიცით, რომ მისი განხორციელება მხოლოდ ზემოთ აღნიშნულ ნიადაგზედაა შესაძლებელი.

სოლომონ მაჭავარიანი.

ფაშიზმი იტალიაში

მეოცე საუკუნე ნაციონალიზმის ანუ ფაშიზმის საუკუნეა. დიდმა მსოფლიო რევოლუციებმა გარდაქმნეს სახელმწიფოებრივი მმართველობის ძველი ფორმები და დემოკრატიული პრინციპები გაამეფეს, რამაც უდიდესი ზიანი და რეგრესი გამოიწვია ხალხთა განვითარების მსვლელობაში. დღეს თუ არა ხვალ — სახელმწიფოებრივი რეფორმა აუცილებლად მოხდება ყველგან და დემოკრატიზმი (თანამედროვე ფორმის) დამარცხდება სამუდამოდ. დემოკრატიზმმა ყველა ქვეყნის ხალხი ზნეობრივად დააქვეითა, ცხოვრების ინტერესი და მომავლის იდეალი დაუკარგა. დღეს ხელახალი აღორძინება იწყება ტრადიციული ეროვნული სახელმწიფოსი. პატრიოტიზმის უმაღლესი გრძნობა გაიზარდა, დასრულდა, და თავისი შემომქმედი პრინციპების განხორციელება ჰპოვა. ძველი საბერძნეთის შემოქმედება პატრიოტიზმის უმაღლესმა აღფრთოვანებამ წარმოშვა; რომის იმპერიის ძლიერება და გენია იტალიელების შეუდრეკელმა პატრიოტიზმმა და დისციპლინამ შექმნა; საქართველოს დიდება და მისი უკვდავი სახელი ქართველების ცოცხალმა მამულიშვილობამ და პატრიოტიზმმა შეინახა. პატრიოტიზმის გარეშე შეუძლებელია ცხოვრება, ისე როგორც სარწმუნოების არ მქონე ხალხი უკულტუროა.

---

1) ახლაც ამასვე იმეორებს.

ამწყობი.

1) ამგვარივე აზრები საერთო ფრონტის შესახებ თ.-გ. კონფერენციის ოქმებშია გამოთქმული. იხ. გაზ. თ. გ. N15·

ქართული სახელმწიფოს აღდგენა, აშენება ჩვენი ქვეყნის, ახალგაზრდობის აღზრდა ქართულ წესზედ და ზნეობაზედ, ხალხის გამდიდრება და კლასთა შორის სოლიდარობის დამყარება არის პატრიოტიზმის უმთავრესი საფუძველი.

თანამედროვე ნაციონალიზმი იტალიაში დაიბადა.

პირველად იტალიელებმა განახორციელეს ის დიდი სახელმწიფოებრივი პრინციპები, რომელიც ხალხის სიმდიდრეს ჰქმნის და ერის გენიას ცხად-ჰყოფს. იტალიის ერმა წარმოშვა დიდი მამულიშვილი—მუსოლინი. პატრიოტიზმის ინტეგრალური და ბრწყინვალე მაგალითი დღეს იტალიის ქვეყანა არის და მისი სულის ჩამდგმელი—მუსოლინი. ფაშიზმი ეროვნული პოტენციის გამომხატველი მოძრაობაა. ფაშიზმმა იტალია კვლავ აღადგინა. ისტორიის ხავსისა და მტვრისაგან მივიწყებული ძეგლები და ლეგენდები, ათასი წლის ძილის შემდეგ, კვლავ რომის მოალერსე მზეზედ წამოიმალენ და ამით აღადგინეს ის უკვდავი სული რომის ძლიერებისა და შემოქმედების, რომელსაც მუსოლინის ხელი მწყობრად აწყობს და ახალ მომავლისაკენ თავბრუ დამხვევი სისწრაფით მიაქანებს.

ჩვენ შევეხებით ზოგიერთ საკითხებს მოკლედ.

ფაშისტური სახელმწიფო

ხშირად ამბობენ, რომ მთელი იტალია მუსოლინის დიქტატურის საშუალებით უჭირავს ხელში და პიროვნულ პოლიტიკას აწარმოებს. მისი მოსპობის შემდეგ ამ ქვეყანაში გაქრება ფაშიზმიც და მისი ნამოქმედარიც. ეს დიდი შეცდომაა. ამ ათი წლის განმავლობაში ფაშიზმი დიდად გაიზარდა და დღესაც იზრდება. 1925 წელს მუსოლინი თავის მეთოდს მილანელებს ასე უხსნიდა: «ფაშიზმის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ყველა პროგრამითგან იღებს მას, რაც ცოცხალი ნაწილებია და მას შესწევს ამისი ძალა რომ განახორციელოს».

კლასთა ბრძოლის და ქვეყნის მტრულ ბანაკებად დაყოფის მაგიერ, რასაც სოციალისტები ქადაგებენ, ერთ კლასს მიანიჭოს უპირატესობა მეორეზედ, დუჩე მას უპირდაპირებს და ახორციელებს კაპიტალისა და შრომის თანამშრომლობის პრინციპს.

ფაშისტური სახელმწიფოს როლი იმაში მდგომარეობს, რომ შეათანხმოს და მოარიგოს კლასები, წინააღმდეგ სოციალისტურ და დემოკრატიული სახელმწიფოსი. როგორც კაპიტალს, ისე შრომას თავისი აუცილებელი მოვალეობა აქვსთ, მათ ჰარმონიულ შერიგებაზედ და შეწყობაზედ არის დამოკიდებული თვითეული ინდივიდის და ქვეყნის ბედი და დიდება.

«ჩვენ ანტი-სოციალისტები ვართ», განაცხადა მუსოლინიმ, «კაპიტალს თავისი ფუნქცია აქვს, რომელსაც ფაშისტური სინდიკალიზმი მთლიანადა სცნობს. კაპიტალი და შრომა—ეს ორი ელემენტია, რომელნიც ერთმანეთს ავსებენ».

«ვინც შრომობს, მას პირველი ადგილი ექნება იმიტომ, რომ ერი მომავალში შემოქმედების იქმნება და არა პარაზიტების».

ფაშიზმის როლი იმაში მდგომარეობს, შეაჩვიოს ხალხი მორჩილებას, ბუნებრივ და პოზიტიურ კანონის წინაშე.

მუსოლინის მთელი სახელმწიფოებრივი კონცეპცია ნათლადა სჩანს ამ სამ მთავარ საფუძველში: ერი, წარმოება, მუშის მფარველობა, კაპიტალისა და შრომის ვიწრო თანამშრომლობით განხორციელებული სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ.

შრომის ქარტია. ხუთი წლის გამოცდილებისა და შრომის შემდეგ მუსოლინიმ საჭიროდ სცნო ფაშიზმის პრინციპები ჩამოეყალიბებინა, ერთ განცხადებაში მოექცია, რომელიც საფუძვლად დაედებოდა უამრავ ორგანიზაციებს.

1927 წელს გამოიცა «შრომის ქარტია», რომელიც რეჟიმის დოკუმენტალურ საფუძველს შეიცავს. პირველ ნაწილში მოცემულ განცხადების შემდეგ: «იტალიის ერი ერთი ორგანიზმია, რომლის ბოლო, სიცოცხლე და მოქმედების საშუალება მაღლა სდგას ცალკე ინდივიდზედ ან ჯგუფებზედ, რომელიც მას შეიცავს». მეორე ნაწილში იძლევა შრომის ნამდვილ შეფასებას, რომელიც, რა ფორმისაც არ უნდა იყოს იგი, ინტელექტუალური, ტექნიკური თუ ფიზიკური, შრომა, საზოგადოებრივი მოვალეობაა.

მოქალაქე არა მხოლოდ მიჩნეულია როგორც წევრი რაიმე განყენებული საზოგადოების, არამედ წარმოების ღირებულებათა სფეროშია მოქცეული, ე. ი. თუ რამდენ ღირებულებასა ჰქმნის იგი, კაპიტალისტი იქნება ის თუ უბრალო მუშა.

სინდიკატები იმიტომ კი არ არიან მხოლოდ შექმნილი, რომ წარმოება გააუმჯობესონ, არამედ, და უმთავრესად, იმიტომ, რომ თვალ-ყური ადევნონ მუშის ბედისა და მდგომარეობის გაუმჯობესებას. ხელფასის საკითხი, მიზეზი ყოველგვარი შრომის კონფლიქტებისა, შესწავლილი უნდა იყოს და გადაწყვეტილი სინდიკატების თაოსნობით. ყოველ შემთხვევაში თუ სინდიკატებმა ეს კონფლიქტი ვერ მოაგვარეს, მაშინ აქ ჩაერევა შრომის უმაღლესი ორგანო, აქ უკვე თვით სახელმწიფო გამოდის მომრიგებელ მოსამართლედ. კერძო ინიციატივას დათმობილი აქვს თავისუფალი ასპარეზი. არაფერი არ არის შეზღუდული ვიწრო დოგმატიზმით, და მუსოლინი, ამ შემოქმედი ბელადი, თავის პრინციპებს ამყარებს ცხოვრებაში განხორციელებულ კანონებზედ. პრაქტიკა ყველაზედ უწინ. იგი მართავს სახელმწიფოს იმ ჩამოყალიბებულ იდეოლოგიით, რომელსაც სინამდვილეში არსებითი სახე აქვს მიღებული.

კორპორატიული სახელმწიფო

ფაშიზმმა მოსპო ლიბერალური რეჟიმი და ააგო ახალი სახელმწიფო. რა მდგომარეობაშია დღეს იტალიელი მუშა?

ორი ორგანიზაცია ჰყოფს შრომის ქვეყანას: პირველი, ვერტიკალური, რომელშიაც შეჯგუფებულია ერთი მხრით მოსამსახურენი და მეორეს მხრით მუშები, რომელნიც სინდიკატების კავშირსა ჰქმნიან. — მეორე, ჰორიზონტალური. ყოველ ამ ცალკე პროფესიონალურ კავშირში არის წარმოადგენილი პატრონისა და მუშის. ამით იქმნება კორპორატიული კავშირი.

სინდიკატები

ფაშისტური სინდიკატების მოვალეობაა კლასთა თანამშრომლობას ხელი შეუწყოს, რომ ამით გაიზარდოს წარმოების ინტერესი, სინდიკატების მოვალეობას შეიცავს: კოლექტიური შრომის ხელშეკრულების წარმოება; მორიგება და შეთანხმება, ყოველ შემთხვევაში, მომხდარ უთანხმოებისა, დახმარების აღმოჩენა, ბრძოლა სიძვირის წინააღმდეგ და სხვა.

კორპორაციები

ფაშიზმის ორიგინალური ნაწილი და ამ რეჟიმის ღერძი—კორპორაციაა. მუშებს, რომელთაც თავიანთი ხელობა კარგად იციან, შეუძლიათ თანასწორი უფლებით იმსჯელონ პატრონთან და ეკონომიკის მთავარი გამგებლობის წარმოებაში მონაწილეობა მიიღონ.

ყველა სოციოლოგების ყურადღება მიპყრობილია კორპორაციების ამ ძვირფას გაკვეთილისაკენ, — იმ მეცნიერთა, რომელნიც ეძებენ (დიდი ხანია) ფორმულას და გამოსავალს «კლასთა ბრძოლის» საკითხის გადასაწყვეტად.

ინტეგრალური გაუმჯობესება

ამ ორგანიზაციის მიზანი არის დამუშავება იმ მიწების, რომელნიც საუკუნეთა განმავლობაში სრულიად მიტოვებული იყო. ამ სასიცოცხლო საკითხთან დაკავშირებულია კერძო საკუთრების უფლება.

ფაშისტურ სახელმწიფოში მწარმოებელი საზოგადოებრივ შრომის მოვალეობით არის დაბეგრილი და მისი თავისუფლება განსაზღვრულია და დაკავშირებული ერის ინტერესთან. მესაკუთრეს უფლება არა აქვს მიწა დაუმუშავებელი დასტოვოს.

გაუმჯობესება იტალიის მიწის მეურნეობის დღითი-დღე იზრდება, უკვე გაზომილ და რიგიანად გამომუშავებული გეგმით. სახელმწიფო ხელს უწყობს კერძო მესაკუთრეთ, ამისათვის სესხს აძლევს დიდი ვადით და სრულიად უმნიშვნელო მოგებას იღებს ამაში. ამ საშუალებით მუსოლინი იძულებულს ხდის გლეხს, მიწა არ მიატოვოს. მან სთქვა: «ერი ძლიერი მაშინ არის, როდესაც მას გლეხები მიწაზედ ყავს დამაგრებული»-ო.

შრომის უმაღლესი ორგანო

სოციალისტები შრომის და კაპიტალს შორის ქმნიან უთანხმოებას გაფიცვის საშუალებით, ფაშიზმი კი სპობს ამ უთანხმოებას. გაფიცვა მიჩნეულია როგორც კლასთა შორის შეთანხმების შემაფერხებელი მოვლენა. ამიტომ ლოკ-აუტი და გაფიცვა ბოროტ-მოქმედებად არის გამოცხადებული და დამნაშავე ისჯება ან ჯარიმის გადახდით ან დატუსაღების სახით.

ევროპაში მუშის მდგომარეობა ისე კარგად არსად არის დაყენებული, როგორც დღეს იტალიაშია.

დღევანდელი იტალიის სახელმწიფო განხორციელებაა კაცობრიობის იმ იდეალის, რომელსაც მრავალი მსხვერპლი აქვს გაღებული რომ ამ მიზნისათვის მიეღწია.

ფაშისტური იტალია უწინარეს ყოვლისა სამეფოა, რომელსაც ძლიერი ეროვნული მთავრობა ჰყავს, სარწმუნოების ცენტრი აქვს და სამშობლოს სარწმუნოებაზედ მაღლა აყენებს.

ფაშიზმი ნამდვილი მოდელია ეროვნული სახელმწიფოსი.

მეოცე საუკუნე ფაშიზმის საუკუნეაო, განაცხადა მუსოლინმა, და ეს მართალია. მთელს ქვეყანას მოედო ეს აღმაფრთოვანებელი მოძრაობა. შეიჭრა თვით ამერიკაშიც და ამით იქმნება ის დიდი მომავალი კაცობრიობის, რომელსაც ოქროს ხანა მოაქვს და ოქროსვე გვირგვინს დაადგამს მეოცე საუკუნის კაცობრიობას.

(გაგრძელება იქნება)

ბეჟან გიორგაძე.

⁂

ჟღარუნა თარის გაწყდა სიმები.
მისწყდა სიმღერა ნაზი ხმებისა.
მუხთალმა ბედმა მკაცრი ხელებით
ჩამოჰკრა ზარი მწუხარებისა.
დადუმდა თარი... მიყუჩდა ხმები.
მაგრამ სცოცხლობენ გულში ჰანგები.
და მშფოთვარ სულში გაშლილი ფრთებით
დაჰქრიან ძვირფას ქვეყნის ლანდები.
გულს ევლინება ვით სინამდვილე:
მთები ჭაღარა კავკასიონის,
ტყე, ჩანჩქერები, ზურმუხტი ველი,
დუდუნი მტკვარის, გრგვინვა რიონის;
ძველ სამრეკლოთა ზუზუნი მწარე,
ჩუმი გოდება ბნელ ტაძრებისა.
გალობა ნელი, ჩუმი, მწუხარე,
სევდით დატვირთულ ძველი ხმებისა.
მწუხარე ჰანგმა კვლავ მომაგონა
ტანჯული მხარის მშვენიერება,
და შავმა ფიქრმა ვერ დამაღონა,
მაინც ვიგრძენი ბედნიერება.
მხოლოდ ქართველი სულით ძლიერი,
ბრძოლის სურვილში დაუდეგარი,
თავის მოხდენილ შნო და იერით
ტანჯვაშიც არის მხნე და მედგარი.
ცეცხლით და სისხლით გარ შემორტყმულსა.
მაინც უღვივს გულში იმედი.
მომავლის ფიქრით იამებს წყლულსა,
სურს ტანჯვით სჭედოს თავისი ბედი.
დე, იმედები მოსჩანდეს მკრთალად,
დე, არ უჩანდეს პირი განთიადს,
გული მაინც ძგერს სიამით, წყნარად,
ღიმილით ელის გაზაფხულს დიადს.
და გაზაფხულიც მას დაუდგება,
გამოიღვიძებს კვლავ არე-მარე.
ჩაგრული ერი მკვდრეთით აღსდგება
კვლავ აყვავდება ტანჯული მხარე.
ჟღარუნა თარის ნაზი სიმები
გაგვაგონებენ ძველსა სიმღერას.
ბრძოლის ყიჟინით, უფლის დიდებით
დავუბრუნდებით საყვარელ კერას.

ქეთევან ბ........ი.

«რას წუწუნებს ეს პატარა მურია»?

ქართული ანდაზაა: «ღმერთი [illegible] ჯერ ჭკუას წაართმევს»-ო. მაგრამ ეს ჭკუა-წართმეულნიც ორნაირი არიან: პირველნი მუდამ [illegible] ასეთი დიაგნოზი დაუსვათ, ხოლო მეორენი პირს არ გააჩერებენ და თვითეული მათი სიტყვა ცხად ჰყოფს თუ რა გონებრივი განძი ძევს მათი თავის ქალაში.

გაზეთ «ბრძოლის ხმის» N 29 სწორედ ახალი განძია ჩვენი ისტორიისათვის. მის მეთაურში იმდენი ღირსშესანიშნავი ცნობაა საქართველოს პოლიტიკურ და ეროვნულ კულტურულ ვითარებაზედ, რომ ჩვენ სასურველად მიგვაჩნია მას ჩვენი გაზეთის მკითხველი დაწვრილებით გაეცნოს.

ამ წლის თებერვალში სრულდება თურმე 40 წელი რაც პირველი ჯგუფი ქართველ სოციალ-დემოკრატთა «შედგა» და პირველად მარქსისტული მსოფლ-მხედველობა «ჩამოასხა». ფაქტი ფრიად უმნიშვნელოა სხვებისათვის, მაგრამ მაინც საინტერესოა თუ რად მოჰყავს ეს ცნობები მეთაურის ავტორს. ერფურტის პარტიულ ყრილობაზედ (Parteitag) 1891 წელს მიღებული იქმნა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ საბოლოოდ მარქსისტული მსოფლ მხედველობა, ცხადია ეს მანამდეც არსებობდა (თარიღი არ მოგვყავს ვინაითგან ის არსებითად მნიშვნელობას მოკლებულია.) და მაშასადამე ქართველი სოციალ-დემოკრატები მას, მარქსისტულ მსოფლ-მხედველობას 1893 წელს პირველად ვერ «ჩამოასხავდნენ», მაგრამ ეს მათი საქმეა როგორც უნდა ისე მორიგდნენ ერთმანეთში და ვინც უნდა იმან იკისროს პირველი მარქსისტული მერიქიფეობა, საინტერესოა თუ რა ხდება შემდეგ: 1893 წელს თურმე «საფუძველი ჩაეყარა არა მარტო სოციალ-დემოკრატიას, არამედ ქართველი ხალხის პოლიტიკას, მის ბრძოლას და ცნობიერებას». ეს ცნობიერება რას ნიშნავს ან როგორ ესმის ეს მის ავტორს ამ შემთხვევაში, ამას არ გამოუდგებით (შეიძლება სხვა სიტყვაში ეშლებოდეს!). ოღონდ ქართველი ხალხის პოლიტიკას და მის ბრძოლას, რომ სოციალ-დემოკრატებმა ჩაუყარეს საფუძველი და ისიც მე 19-ე საუკუნეში ეს მეტად მნიშვნელოვანი ცნობაა, ვინაითგან ირკვევა, რომ ქართველები ქრისტეს დაბადებამდე და შემდეგაც ვიდრე მე-19-ე საუკუნემდე, თურმე კი არ იბრძოდნენ, არამედ თამაშობდნენ და სახელმწიფოებრივი პოლიტიკაც ეს მხოლოდ 40 წლის წინეთ შემოუღიათ და ისიც სწორედ სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც ყველაზედ ნაკლებ იცნობდნენ ამ პოლიტიკას.

მაგრამ «ყვავსაც თავის ბახალა მოსწონს»-ო და რა ვუყოთ, რომ ამ «ბრძოლის ხმასაც» სხვა ბრძოლა არ სწამდეს! მაგრამ რაც უფრო შორს მივდივართ უფრო საინტერესო ხდება ჩვენი ავტორის ახალი გამოკვლევანი; მანამდე, ე. ი. მე-19-ე ს. ქართველი ხალხი ყოფილა «დანაწილებული, სხვა და სხვა კუთხეში ჩაკეტილი, საერთო აზრს, საერთო იდეალს, საერთო მოძრაობას მოკლებული. სოციალ-დემოკრატიის შემოძახების დამედროშეობით კი ის პირველად იღვიძებს ერთდება და ბრძოლის ველზედ დგება». იშვა თურმე ერი, რომელიც ერთად ებრძვის მტერს და მოყვრისაგან კი ხელებს იშვერს.

მე-19-ე ს. ქართველი ერის დაბადება ეს პირველი გაგონებაა ჩვენთვის. ამის გარდა ჩვენ დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ქართველები წინეთაც ერთად ებრძოდნენ მტერს და თავის დასაბამს უფრო აღრინდელ ხნიდან იწყებდნენ, ვიდრე მე-19-ე საუკუნეში. რაიც შეეხება საერთო აზრს, საერთო იდეალს და მოძრაობას გამოდის, რომ მარქსი, რომ არ დაბადებულიყო, ისე დაიღუპებოდა ქართველი ერი, რომ ერთი მეორეს ვერ გაიგებდა და მტერსა და მოყვრეს ერთმანეთში ვერ გაარჩევდა!

ხედავთ ბატონებო?! თურმე ყველანი სტყუიან «ქართლის ცხოვრების» მემატიანენიც და ჩვენი პატივცემული ისტორიკოსებიც! ხომ გამოარკვია «ბრძოლის ხმა»-მ და მისმა «მკვლევარმა» სიმართლე: ერთი შემოსძახა და ქართველმა ერმაც მთვრალი მაყარივით უცბად თავი წამოჰყო!

გასაკვირველია პირდაპირ, ასეთი საღათას ძილი ჯერ ისტორიას არ ახსოვს და მაინც და მაინც საქართველოს უნდა სძინებოდა ამდენი ხანი და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ბოლოს ის ვინმე «აკოკიან»-ის ყვირილს, ჩვენს პარლამენტში, გამოეღვიძებია!

მაგრამ თქვენ გგონიათ ამით ამოიწურება ჩვენი ახალი მკვლევარის ისტორიული აღმოჩენანი? არა! 1893 წ. «აირწა» პირველი აკვანი საქართველოს ნაციონალურ აღორძინების და გაერთიანების! სირეგვნე ამაზედ მეტი წარმოუდგენელია, ამაზედ მეტი სისულელე არც რუსებს უთქვამს, როცა სწერდნენ—«საქართველოში განათლება შემოვიტანეთო».

ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის, რომ მე-8-ე საუკუნეში იწყება და მისი ეროვნული აღორძინებაც რომ ამავე ხანას ეკუთვნის ეს რა თქმა უნდა ჩვენმა «მეცნიერმა» პროპაგანდისტმა არც იცის. მაგრამ მას, რომ სურათებიანი გამოცემა «საქართველოს ისტორიისა» მაინც გადაეფურცლა, რომელიც განყოფილებებში ისწავლება, ამდენ სისულელეს ერთად არ იტყოდა.

თურმე აქეთგან რა ირკვევა: რომ 1893 წლამდე არაფერი ღირს-შესანიშნავი საქართველოს ისტორიაში არ მომხდარა და ის რაც მოხდა უმნიშვნელოა ამ მეთაურის ავტორისათვის. მაშ რომელ სასახელო ბრძოლებზედ ლაპარაკობს? თქვენი პირველი და ნამდვილი ბრძოლა როდესაც უნდა მომხდარიყო თქვენმა სასახელო გვარდიამ თოფის ტყვიას ჩამოასწრო ტფილისში, მაგრამ ვაი! თქვენ უკვე დიდი ხნის ჩაბრძანებულნი იყავით გემში! ახლა გაიძახით მიკნავებული ხმით «იდღესასწაულეთ, გააცანით ყველას თუ რა ვიყავით გუშინ»-ო.

სამწუხაროდ უნდა მოგახსენოთ, რომ არასდროს არაფერი არ ჰყოფილხართ: დაიწყეთ ეროვნული მეოგის აღმოფხვრით და ათავებთ თქვენი პარტიის საკუთარი ხელით დასამარებით...

გ. ნი.

სხვა და სხვა საკითხები

ერი და ისტორია.

«ვხედავ, შენ, ხმალო პაპისა ჩემის,
ჩემგან შემკობა და მორთვა გშვენის».
(ხალხური)

მეფე გიორგი მე-12-ე ბრძანებდა ხოლმე: «ყველასა სძულს სომხები, როგორც უპირონი და გაუტანელნი. მე კი მებრალებიან. აბა რა მოეთხოვება იმ ხალხს, რომელს არ გააჩნია კოშკი წინაპართა და ხმალი პაპისა»-ო. ბრძნული სიტყვებია. ორი წინადადებით გამოთქმულია მთელი დებულება.

ერი ირღვევა, და მაშასადამე ზნეობრივადაც იხრწნება, როდესაც იგი საკუთარ ისტორიას ივიწყებს. ამ დავიწყებით იგი ჰკარგავს წინაპართა მიერ ნაანდერძევ ნამუსს. უწინდელი ქართველი ერთგულობის ფიცს როცა სდებდა თან დასძენდა ხოლმე: «მე და ჩემი ხმალი ქართველები ვართ»-ო. ეს ნიშნავდა: «ჩემი ხმალი მამა-პაპათა რტყმიათ წელზედ; მას ბრძოლის ველზედ სახელი მოუხვეჭია; იგი გადმომეცა მე; მოვალე ვარ ღირსეულად ვატარო და ამ ისტორიული ხმლით ხელში დავიცვა წინაპართა ნამუსი და სამშობლო; იგიც და მეც უზენაესი მოვალეობითა ვართ დაკავშირებული საქართველოს ვრცელ ისტორიასთან; მოვალე ვარ, თავის დროზედ, ჩემ შვილს, ჩემ ნამუსთან ერთად, ეს ხმალი ღირსეულად ვუანდერძო»-ო.

ამნაირად, მამებითგან შვილებს გადაეცემა ხოლმე ეროვნული ნამუსი და ტრადიციები. ამ ისტორიული ანდერძის მუდმივ აღსრულებაში მდგომარეობს ერის სიცოცხლე. იგია სულის ჩამდგმელი ცხოველ მყოფელი წყარო. ეროვნული მთლიანობის შეგნებას წინაპართადმი სიყვარული, წარსულის ცოდნა და ისტორიულად გამომცემული ეროვნული ტრადიციები ჰქმნიან და ხალხს მთლიან ეროვნულ სხეულად გამოსჭედავენ ხოლმე. ხალხის ეროვნული შეგნება იმდენადაა ძლიერი, რამდენადაც იგი კარგად იცნობს საკუთარ წარსულს და რამდენად ღრმათა აქვს მას გამჯდარი ძვალსა და რბილში წინაპართადმი მოვალეობის გრძნობა. ხოლო ეროვნული შეგნება ერის ნამდვილი ფარია. მტერი, რომელიც ერს ამ ძლიერ ფარს აჰყრის, გულსაც ადვილად გაუპობს მომაკვდინებელი ლახვრითა.

ყოველ მტერთა შორის საქართველოს—უსაშინელესი მტერი რუსეთი იმიტომაა, რომ იგი ცდილობს ქართველ ხალხს ეროვნული სული ამოხადოს.

ჯერ ხელმწიფის რუსეთი შეეცადა ქართველთათვის ისტორია მოესპო: წარეხოცა ჩვენი ხალხის გონებითგან და ხსოვნითგან სახელოვანი წარსულის სურათები, თავდადებული გმირთა სახელები და საამაყო საქმენი მათნი. ამითი რუსებს სურთ ჩვენი ხალხი გახრწნან და ეროვნულად დაარღვიონ. რადგან ვისაც მამა პაპა აღარა ხსოვს, სამშობლოს ისტორიას აღარ იცნობს, წინაპართა კოშკი დაჰნგრევია და პაპის ხმალი აყრილი აქვს რაღა ნამუსი და კაცობა შერჩება? რა ეროვნული შეგნება ექნება?

ხელმწიფის რუსეთმა, მთელი 117 წლის განმავლობაში ყოველივე ზომას მიმართა რათა ქართველი ხალხი ეროვნული მთლიანობიდგან შეუგნებელ ცხვრის ფარად ექცია. რასაკვირველია ასე დაშლილი ხალხის გარუსება ძალიან გაუადვილდებოდა.

საუბედუროდ რუსის მთავრობა საქართველოს გადაგვარების საქმეში განმარტოებული არ იმყოფებოდა. მის ნამდვილ მარჯვენა ხელს ქართველი სოციალ-დემოკრატები წარმოადგენდენ. ეს უკანასკნელნი გველებივით შეფუსფუსდნენ საქართველოს სხეულის ყოველ უჯრედში და მოშხამეს იგი. — სოციალ-დემოკრატები შეებრძოლნენ ქართველ ხალხის ყოველ ეროვნულ გამოვლინებას: ოჯახს; ისტორიას, რომელსაც დასცინოდენ; ეროვნულ ტრადიციებს, რომელსაც ფეოდალობის ნაშთად ნათლავდენ; ეკლესიას, რომელიც ხალხს მონობის უღლად მოაჩვენეს.

დღეს ამ ბნელ საქმეს ბოლშევიკური რუსეთი განაგრძობს. აგერ 12 წელიწადია იგი ცდილობს ყოველივე ქართულის აღმოფხვრას; თამარ მეფის ქვეყანაში რუსული გარყვნილება შეიტანოს.

ამ ბოროტი ძალების მოქმედება უშედეგოდ არ დარჩა. ბარბაროს და გათახსირებული რუსების 130 წლის ბატონობამ, 40 წლის განმავლობაში მოქმედმა მარქსისტულმა მოძრაობამ, საქართველოს თავისი კვალი დააჩინა. ქართველ საზოგადოების ნაწილი მართლაც გადაგვარდა, გადაგვარდა იმ ზომამდე, რომ დღეს ჩვენა გვყავან პარტიების ლიდერები, რომელთა ოჯახებითგან ქართული ენა დევნილია, მტრის ენაა მიღებული, რომელნიც რუსულ ჟურნალ გაზეთებში თანამშრომლობენ; რომელთ რუსული სული უდგიათ. ჩვენა გვყავს ისეთი თავადები, გენერლები, პარტიის ლიდერები და, წარმოიდგინეთ ბატონებო, ისეთი სპეკულანტ-ჩარჩებიც კი, რომელნიც რუსეთის ლანძღვას საკუთარ შეურაცყოფად იღებენ და რუსეთის წინააღმდეგ გამლაშქრებლებს წერილობით პროტესტებს უცხადებენ.

«ჟამნი მეფობენო», ნათქვამია. მაგრამ საქართველოს არა ერთი შავ-ბნელი ხანა და «სისხლის წვიმების» დრონი მოუჭამია. რუსეთის ბატონობის ჟამსაც მოიჭამს და წამლის ეროვნული ვითარებითგან მისი გამხრწნელი გავლენის კვალსა. მარქსიზმითგანაც განიკურნება. გარუსებულებსაც ჩაოლულის წყალს დაალევინებს. «წყალნი წავლენ და წამოვლენ ქვიშანი დარჩებიან»-ო. ამისი თავდები ისაა, რომ საქართველოს წიაღითგან თეთრი გიორგი წამოიჭრა და ქართველი ახალგაზრდობის ნაწილი მაინც მთლიანი ნაციონალიზმის უზენაესს დებულებებს შესწვდა. ამ მოვლენამ ნათელ ჰყო რომ გრძელ და ბნელ მონობის სისასტიკეს ქართველი ხალხის სიცოცხლის ძალა ვერ დაუხშვია, მისი ეროვნული სული ვერ დაუშრეტია.

დღეს ინტეგრალური ნაციონალიზმის მაღალ იდეას მისწვდა ქართველ ახალგაზრდობის ნაწილი, ხვალ მისწვდება მისი უმეტესობა და მალე მთელი საქართველოც. უდავოა, რომ ქართველი ხალხი დღეს ეროვნული გამოღვიძების ხანაშია და რომ ეს გამოღვიძება აუცილებლივ თ.-გიორგული იქნება. იმიტომ რომ დღეს ერთა აღორძინება ინტეგრალური ნაციონალიზმის ნიადაგზედა ხდება. ესაა დამახასიათებელი მე 20 ე საუკუნისა.

ეროვნული ფირი 1) და მენშევიკები

ზღვა კოვზით ვერ ამოშრება და მენშევიკების მიერ საქართველო სადმი მიყენებული ბოროტება კალმით ვერ აიწერება. ერთი მიმითითეთ, რომელი მხარე, გადურჩათ შეუბღალავი და დაუმცირებელი, ჩვენი ეროვნული ცხოვრებისა? აი თუნდაც ეროვნული ფირის საქმე ავიღოთ.

ვიცი გაზ. «დამოუკიდებელი საქართველო“-ს თანამშრომლები აღელდებიან: ეს ძველი ამბავია, თავი დავანებოთო. მაგრამ ჩვენ მენშევიკების წარსულს იმიტომ არ ვივიწყებთ, რომ ქართული ანდაზა ამბობს: «ვისაც უქმნია ბოროტი, ბოროტსვე მოიქმედებსა»-ო.

ჩვენი სახელმწიფოს ეროვნულ-ისტორიული ფირი წმინდა გიორგია. ეს ფირი ქართველი ხალხის რაინდულ სულსა და ისტორიას ზედ მიწევნით გამოხატავს. როდესაც ჩვენმა ხალხმა ქრისტეს მოძღვრება აღიარა მთვარისადმი სულიერი სამსახური წმიდა გიორგიზედ გადაიტანა. აი, რატომ წარმოადგენს ეს ფირი საქართველოს ორთავე ხანასა: კერპთთაყვანისმცემლობისა და ქრისტიანულსა. აღსანიშნავია, რომ წმ. გიორგი ქართველ მუსულმანებსაცა სწამთ. ამნაირად წმ. გიორგი საქართველოს ეროვნული მთლიანობის გამომხატველია. მისი მერანი მიჰქრის მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზედ და მიუძღვის მთელ ქართველ ერს ჟამთა დაუსრულებელ სივრცეში.

მაგრამ ამ ფირს კიდევ სხვა და დიდი მნიშვნელობა აქვს: წმ. გიორგი ებრძვის გველეშაპსა. ხოლო გველეშაპი ქართველ ხალხის წარმოდგენაში, განსახიერებაა ბოროტებისა, რომელიც ცხოვრების დაუძინებელ მტრადაა მოვლინებული. ამიტომაც, როგორც ჩვენი ფირი გვისურათებს, ბოროტებას ადამიანი მუდამ უნდა ებრძოდეს. ამნაირად ქართული ფირი ნივთიერი დასურათებაა ღრმა და სწორი ფილოსოფიური განყენებული აზრისა: ცხოვრებაში და თვით ადამიანის სულში სწარმოებს მუდმივი ბრძოლა კეთილსა და ბოროტის შორის, რადგან ერთიც და მეორეც ცხოვრებისა და ადამიანის სულის ორი ბუნებრივი დასაწყისია.

ჩვენ ფირში კაპადოკიელი ქართველი რაინდი გულს უპობს გველეშაპს და მით ევლინება ხალხს დასურათებულ მაგალითად მისა, რომ კეთილი სასტიკად უნდა ებრძოდეს ბოროტებასა და უნდა დასძლიოს იგი.

სწორედ ეს და ასეთი რაინდი არ ინდომეს მენშევიკებმა. ის კი ველარ გაბედეს, რომ წმ. გიორგი ფირითგან სულ ამოეღოთ და მის რაშზედ რომელიმე მენშევიკი შეესკუპებინათ წითელი დროშით ხელში, რაც მათი მხრივ უფრო ბუნებრივი იქნებოდა. მენშევიკი იმის მენშევიკია, რომ მთლიანი მოქმედება ადვილად ვერ გაუბედია. მაგრამ ეს კი ჰქმნეს, რომ გველეშაპი ამოიღეს და წმ. გიორგი დასტოვეს. აქაოდა მენშევიკები მხედრობის წინააღმდეგი ვართო, სახელმწიფო ფირიც ჩვენ პროგრამას უნდა ეგუებოდესო. რატომაც არა? შეუგუეს კი არა და მთელი საქართველო შესწირეს მენშევიკურ პროგრამასა და აბა ფირს რაში დაინდობდენ? ეს იყო მენშევიკების მიერ აღიარებული მიზეზი.

მაგრამ მათ ჰქონდათ ფარული და უფრო ღრმა მიზეზი. მენშევიკები კარგად მიხვდენ, რომ საბოლოოდ, თვალებ ახილული ქართველი ხალხი, გველეშაპის სახეში თვით მენშევიკურ პარტიას დაინახავდა. მართლაც და განა ეს პარტია ნამდვილი ბოროტი სული არ იყო, საქართველოს თავს მოვლინებული?! სული ბოროტი, გველეშაპი, რომელმაც ზნეობრივად აწამა და ბოლოს შთანთქა კიდეც დიდი ილია, ნ. ხიზანაშვილი და რამდენი სხვა რჩეულნი ძენი ჩვენი ქვეყნისა! განა მენშევიზმი აპოკალიპსისის გველეშაპი არაა, რომელმაც ძმა ძმას აუმხედრა და შვილი მამასა? რომელიც შეეცადა დაენგრია, გმირ წინაპართა სისხლით გამოჭედილი, ქართველ ხალხის ეროვნული სული?

რასაკვირველია, ქართველი ხალხი სინამდვილეს მალე დაინახავდა და საკუთარ ოჯახში წარმოშობილი გველეშაპის გასაგმირად წმ. გიორგის შუბს თვითონვე წამოავლებდა ხელსა. ამიტომ საჭირო იყო ასეთი დასურათებული მავალითის წაშლა და, საქართველოს დროებითმა თვითმპყრობელებმა, წაშალეს კიდეც ეს დიდის ნიჭით განივთიერებული ცხოვრების ფილოსოფია.

მაგრამ „თეთრი გითრგის“ ორგანიზაციას უმიზნოდ როდი აურჩევია ქართველი ფირის სახელწოდება. 1) მისი სახელწოდება, მისი მრწამსი, წესი მისი დარაზმულობის, მთელი და მთლიანი გეგმაა წინასწარ შედგენილი და ნაანგარიშევი, რომელიც მომავალში უზარმაზარ ეროვნულ მოვლენად გაიშლება და საქართველოს ცხოვრების ყოველ მხარეს შეეხება. „თეთრი გიორგი“-ს მრწამსზედ აღორძინდება საქართველო და მაზედ ააგებს იგი თავის ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ვითარებასა. ხოლო ასეთ საქართველოში თ.-გიორგი აღადგენს ქართულ ფირსა მთელი მისი ეროვნულ-ისტორიული სისწორით და ფილოსოფიური შინაარსით.

საქართველოს მრავალი გველეშაპი მოვლინებია. ეს გველეშაპები ხშირად გარეთგან შემოგვსევია. ზოგჯერ კი თვით ეროვნულ უბეში გამოჩეკილან, როგორც შინაგანი ბოროტება. ბოროტება, რომელიც ჟამთა სრბოლაში ყოველი ერის ცხოვრებაში დაგროვდება ხოლმე და რომლის წინააღმდეგ ერის რჩეულ შვილებს მოუხდებათ ხოლმე შებრძოლება. ეს ცხოვრების თანდაყოლილი და განუყრელი მოვლენაა: მუდმივი ბრძოლა კეთილსა და ბოროტის შორის.

თეთრი გიორგი აღადგენს ეროვნულ-ისტორიულ ფირსა ნიშნად იმისა, რომ საქართველოს. გარეშე თუ შინაგანი გველეშაპებისათვის, საბოლოოდ, მახვილით გული გაუპია.

წმიდა გიორგი! მოგვიტევე შეცოდებანი. მომადლე ჩვენ სამშობლოს! შენი საუფლისწულო, საქართველო, არასდროს არ გადაგიდგება! არ უღალატებს შენს მებრძოლ სულსა, რადგან მან უწყის, რომ ბრძოლა ერის სიცოცხლის ძალის ნიშანი და ცხოვრების აუცილებელი და საჭირო თვისებაა, რასაც თვით სახარება გვიდასტურებს: „რა ჟამს გესმოდენ ბრძოლანი და ამბავნი ბრძოლათანი, ნუ შესძრწუნდებით, რამეთუ ჯერ არს ესე ყოფად, არამედ არ ღა არს აღსასრული“-ო.

---

1) ფირი ქართული სიტყვაა და ნიშნავს ღერბს. ს.მ.

1) ამ საკითხის შესახებ იხ. ბ-ნ ლეო კერესელიძის წიგნაკი: „რად ვატარებთ ჩვენ თ.-გიორგის სახელწოდებას“.

ახალი იერემია

კაცობრიობას ახალი იერემია მოევ[illegible]კუნის იერემია წინასწარმეტყველი ბ-ნი, კ. გ. გახლავთ. საქართველოს შეუძლიან იამაყოს მით, [illegible]თველია, მაგრამ საამაყო მეტადრე მენშევიკებსა აქვს, ვინაითგან ბ-ნი კ. გ. უფრო მენშევიკია ვიდრე ქართველი. ამ წერილით ჩვენ სრულიადაც არა გვსურს, საქართველოს სახელით, მენშევიკებს კ.გ. პიროვნებაზედ წავედაოთ. მათ განძზედ, აბა, ჩვენ რა ხელი გვაქვს?! „მიეცით კეისარისა კეისარსა“-ო — ბრძანა მაცხოვარმა. ჩვენ მხოლოდ გვინდა, მკითხველს, ამ ახალი იერემიას სიბრძნე გავაცნოთ.

ბ-ნი კ. გ. „ბრძოლის ხმის“ იანვრის ნომერში სწერს: „ფაშიზმი მარცხდება, ჰიტლერიანთა მოძრაობა დაემხო“-ო და სხვა. მაგრამ: „კაცი ბრჭობდა და ღმერთი იცინოდა“-ო: წერილის დასტამბვის შემდეგ არ გასულა სამი დღე და ჰიტლერი გერმანიის ბატონ-პატრონად გახდა. და, აი, პატივცემულო მკითხველო, ამნაირი შორს გამჭვრეტი და სიბრძნის ჭურჭელი ადამიანები, საქართველოს ელჩებად ბრძანდებოდენ, სტამბოლში, ლონდონში და სხვ.! ამის შემდეგ ზოგიერთს უკვირს ის მოვლენა, რომ საქართველოს საქმე სულ უკან უკან იხევს.

როდესაც სახელმწიფო კაცი, პოლიტიკოსი, დიდ ისტორიულ მოვლენას ათი წლის წინედ ვერ გამოიცნობს, მას უნიჭოს უწოდებენ ხოლმე; რომელიც ერთი წლით შეცდება მისი სახელი რეგვენია. ხოლო იმისთანა პოლიტიკოსის დახასიათება, რომელს ვერ დაუნახია თუ რა დიდი პოლიტიკური მოვლენა უნდა მოხდეს სამი დღის შემდეგ—მე არ ძალმიძს, რამე დავარქვა, ჩევრიც რომ თავი მოვიჭრა. არა, ბატონებო, კ. გ.-სებური საიგავ-არაკო ელჩის დახასიათება მხოლოდ საბა-სულხანის კალამს შეუძლია და არა ჩემებრ უბრალო მოკვდავსა.

„სხვა და სხვა ჭირი ჩემზედა არ ახალია ძველია“-ო, სწორედ საქართველოს ეთქმის და ასეთი მსგავსი ელჩებ-ვეზირები რომ გაგვიჩნდა, მართლაც რაღაცა ჭირისებური სენი უნდა იყოს, დროებით და ბოროტი სულის მიერ ჩვენს თავზედ მოვლინებული, თორემ ნუ თუ თორნიკე ერისთავის, ივანე მხარგრძელის, საბა ორბელიანის ან სოლომონ ლეონიძის პოლიტიკური სიბრძნის მემკვიდრეები არიან?

«ბრძოლისხმის“ იმავე ნომერში ბ-ნ კ. გ. მარქსიზმის გამარჯვებას წინასწარმეტყველობს. საბუთად კი ის მოჰყავს, რომ მეორე ინტერნაციონალს ექვსი მილიონი წევრი ჰყავსო. ერთი სიტყვით მსოფლიოს ბედის მომავალს მეორე ინტერნაციონალის წევრთა რიცხვით ანგარიშობს. იმას კი ვერ ხვდება, ჩვენი ახალი იერემია, რომ ეს რიცხვები სწორედ მისივე დებულების წინააღმდეგ ღაღადებენ. საქმეც სწორედ იმაშია, რომ აგერ ორმოც-და-ათი წელიწადია მეორე ინტერნაციონალს მილიონობითა ჰყავს წევრები და აქამდე კი ხელითგან ხეირიანი არა გამოუვიდა რა. ეს კი ქმნა, რომ ერთი გველის წიწილი გამოსჩეკა: ბოლშევიზმი

მცირე რიცხოვანი რომ იყვენ, მარქსისტები, ეს მაინც ეთქმით: „ჩვენი იდეა დიადია, მაგრამ ჯერ მცირე რიცხოვანი ვართ და ამიტომ ვერ გაგვიხორციელებია იგიო. გვაცალეთ, ვიმრავლებთ და მომავალი ჩვენი იქნება“-ო. — ხოლო ის მოვლენა, რომ მრავალრიცხოვანი არიან, რომ რიგ-რიგად მართავდენ ევროპის ყოველ სახელმწიფოს, მაგრამ ყველგან და ყოველთვის დამარცხდენ და ყველგან ხალხს უბედურობის მეტი ვერა არგუნეს რა, მტკიცედა მოწმობს მხოლოდ იმას, რომ თვით იდეაა უვარგისი, განუხორციელებელი, ცხოვრების ნიადაგს მოკლებული და ექვსი მილიონი კი არა მსოფლიოს მთელი მოსახლეობაც რომ გამარქსისტდეს მაინც განუხორციელებელს ვერ განახორციელებს. არარაობითგან რაობა ვერ შეიქმნება. ცხონებული პაპა-ჩემი ბრძანებდა ხოლმე: «შვილო, დუნიის ლაშქარი რომ შეკრბეს, მაინც ცითგან მთვარეს ვერ ჩამოგლეჯავს»-ო.

მე კი ეს მითქვამს: არც წინასწარმეტყველობაა საჭირო, არც ელჩობა, არც პარტიის ბელადობა რათა კაცმა დაინახოს, რომ დღეს მსოფლიოში ინტეგრალური ნაციონალიზმი იმარჯვებს და ხვალ, დამოუკიდებელ საქართველოში, გაიმარჯვებს თ.-გიორგის მწამსი.

ჩვენა ვსთხოვთ მკითხველს გადაიკითხოს გაზ. „თეთრი გიორგი“-ს პირველი ნომერის მოწინავე წერილი, რათა დარწმუნდეს, რომ ამ ექვსი წლის წინეთ იქ ნათქვამი ყოველივე სიტყვა სიტყვით სრულდება. გადაიკითხოს აგრეთვე ჩვენი გაზეთის ყველა ნომრები და მიგვითითოს თუ რაიმეში რაიმე პოლიტიკური მოვლენის წინასწარ განსაზღვრაში გაზ. „თ.-გ.“ მწერლები შემცდარიყვენ. რატომ ხდება ასე? ეს სხვა საკითხია, რომელს შემდეგში განვიხილავთ.

სოლომონ მაჭავარიანი.

გაზეთი **„თეთრი გიორგი“** ეღირება:

წლიურად . . . . . . 20 ფრანკი.
6 თვით . . . . . . 10 ფრნაკი.
ცალკე ნომერი . . 2 ფრანკი.

ფული და წერილები უნდა გადმოიგზავნოს შემდეგი მისამართით: M. Dadiani. 4. square du Trocadéro, Paris (16ᵉ)
Tél. Passy 45-17

Imp. DUPUIS, 63 bis, rue de Billancourt — Boulogne

Le Gérant: Félix KALDENBACH